ციანიდური დიალექტიკა

0...

გაგიკვირდებათ და ერთხელ ყველაფერი ბოლოდან დაიწყო, ბოლოს კი როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი არც ისე კარგად არის ხოლმე. ისიც მოგეხსენებათ, რომ დასაწყისი და დასასრული თითქმის არ განირჩევა ერთმანეთისგან და მაინც, სპექტაკლი შეიძლება დავყოთ ორ მოქმედებად: მოშინაურების, პრემორბიდული მდგომარეობა და ტვინის დანაოჭების ანუ პოსტგენეზისური მდგომარეობა. პოპულარული ვერსიის თანახმად, მეორე მოქმედების დაწყება პირველში არსებული ერთადერთი და მთავარი მოთხოვნის დარღვევამ განაპირობა. ამის შემდეგ, არსებას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „გენადი“, ტვინი დაეჭმუჭნა და წამოიჭრა ფილოსოფიური დილემა - რა სჯობს, აზროვნებდე და შიმშილით კვდებოდე თუ მაძღარი იყო და თავში მშვიდი სიცარიელე სუფევდეს? - რასაც დღემდე ვერ გაეცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი. და მაინც, რა ეგონა რეჟისორს - „გენადი“, რომელმაც ერთი მოთხოვნაც ვერ შეასრულა, ათს დააკმაყოფილებდა? რატომ მოახდინა როლის ცუდად შესრულების პროვოცირება? ქარხნულ წუნს ეძებდა? ან საერთოდაც, რატომ შეიქმნა „გენადი“?

3...

მარჩელო არ ეწერა იმ გამორჩეულ ადამიანთა შორის, ას წელიწადში ერთხელ რომ იბადებიან და გარდაცვალების შემდეგ მათ დიდებულ ტვინებს ხსნარებში ინახავენ ხოლმე. მარჩელო ძალზედ უბრალოდ იტალიელი ბიჭი გახლდათ, საშუალო სტატისტიკური ფიზიკური თუ გონებრივი მონაცემებით. სხვა ბიჭებივით მასაც თეთრი თხა აჩუქეს, როცა ხუთი წელი შეუსრულდა. თხა მეორე დღესვე მიებარა მიწას, მარჩელო ცრემლებს იშხეფებოდა, გაოცდნენ მშობლები - ან თხა რამ მოკლა, ან მარჩელომ როგორ მოასწრო ერთ დღეში მისი ასე მწარედ შეყვარებაო. შვილს ბანალურად აუხსნეს, რომ ჯერონიმო (უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელი თხის სიკვდილის შემდეგ მოიფიქრა მარჩელომ) სამოთხეშია და ოდესმე საკუთარი ფეხით ააკითხავდა მას. ერთ დღესაც მარჩელო მინდორში იწვა, ცალ ხელში ლუპა ეჭირა და კაშკაშა მზის სხივებს მეორე ხელის გულზე მიმართავდა. როდესაც მაყვლის ბუჩქის, გასრესილი ბალახისა და დამწვარი კანის სუნები ერთმანეთს შეერია და ოხშივარში გადაიზარდა, მარჩელო დაფიქრდა - რატომ არ შეიძლებოდა „ოდესმე“ ქცეულიყო „ახლა“-დ. სანამ თვითრიტორიკის ფენომენს გაიაზრებდა, უკვე იქვე მდგომი წიფლის კენწეროზე მოქცეულიყო და ზეციური კარების შეღებას ლამობდა, რასაც გრავიტაციის კანონის მკაცრი აღსრულება მოჰყვა, სწრაფად დაეშვა ძირს და დედამიწა სისხლით გაანაყოფიერა. სიკვდილს ჩავხედე თვალებშიო - ბოლო ამოსუნთქვამდე გაჰყვიროდა მარჩელო. შედეგი კი მხოლოდ ის იყო, რომ აღნიშნულმა ფრაზეოლოგიამ მსოფლიოში ფართო გავრცელება ჰპოვა. მხოლოდ? ვისთვის როგორ, ვისთვის როგორ...

8,99...

ყველაზე მეტად განუსაზღვრელობა მაწუხებს, ჩემს ტვინს ნორმალური ფუნქციონირება არ შეუძლია, ან ეს ნორმა ვინ დაადგინა, დღემდე ვერ გავიგე მაგის განმარტება. ზოგჯერ ვერ ვარკვევ, მშია თუ არა, ამიტომ დღეში სამჯერ მაჭმევენ, როცა თავად მოუნდებათ. თან დამცინიან, რა მოგართვათ, რა გესიამოვნებათო, აბა მე საიდან უნდა ვიცოდე რა მესიამოვნება, ჩემს თავში ხომ არ ვზივარ?! ყველა ერთნაირია, განსხვავებულად არავინ აზროვნებს, შეიძლება სკოლა, სამსახური და მსგავსი სისულელეები ასახიჩრებენ ადამიანთა სულებს. იმ დღეს ერთი ბავშვი მიმტკიცებდა ორჯერ ორი ოთხიაო, არადა სიზმარში ვნახე 3,99 ყოფილა, რომელს დავუჯერო ახლა? ბურიდანის ვირი ხარო მეტყვის ხოლმე მამაჩემი და იფხრიწება სიცილით, ნეტავ რა ახარხარებს, ზოგჯერ მგონია, რომ ჩემ გარდა ყველა არანორმალურია.

12...

სოფელში იშვიათად ჩავდივარ, მაგრამ ჩემი ვაშლის ხე მუდამ იქ მხვდება, სადაც ერთ დროს დავტოვე. წყალს არავინ უსხამს, ერთი მხარე სულ გაუხმა, ჯანსაღ ნაწილზე კი, ერთადერთი ვაშლია ჩამოკონწიალებული. ჯერ პატარაა, მწვანე, მკვახე, ყუნწი მაგარია, ქარი ვერ ჩამოაგდებს, სეტყვაც იშვიათად იცის ამ მხარეში, მერე ნელ-ნელა იფერება, ჯერ სიყვითლე ეპარება, შემდეგ მეწამული, გეგონება ცეცხლი შეუნთესო. იზრდება, იბერება, მერე რბილდება და ყავისფერი ედება, ობდება და მოფამფალებული ყუნწიც შორდება ხეს, მიწაზე ეცემა და ლპება. გემრიელია თუ არა? ვერ გეტყვით, ვაშლს მაინცდამაინც არ ვეტანები.

17...

კიოტოს პროვინციაში კუნძულ კიურიშუზე ვცხოვრობდით, მე ყველაზე პატარა ვიყავი, თერთმეტი უფროსი და მყავდა, დედაჩემი ყოველ წელს მშობიარობდა, სანამ ბოლოს და ბოლოს ბიჭი არ გაჩნდა მეთორმეტე ცდაზე. დედა მიმტკიცებდა, მამაშენს ძალიან უყვარხარო, მაგრამ მე მსგავსს ვერაფერს ვატყობდი შავ კიმონოში გამოწყობილ მამაკაცს, სახლში შემოსვლისას სინათლის ყოველგვარ ნასახს გარეთ რომ ისტუმრებდა და წელზე თავისი ქამრის კვალს მაჩენდა. ეს პროცესი ჭამის დროს რიტუალად იქცა, ბრინჯი არ მყოფნიდა, ჩემს დებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთი ულუფა ეწილადებინათ. რით ვეღარ უნდა გაიზარდო, ბოლოს ოჯახი ვის ხელში დავტოვოო, იყვირებდა მამაჩემი და გაიძრობდა ქამარს. დახმარებას დედას ვთხოვდი, რომელიც გასუსული და თვალებდახუჭული ეყრდნობოდა მუხლებს, ჩემს გამოძახილზე ნაკვთიც არ შეუთამაშდებოდა, ყურებზე ხელს იფარებდა, მაგრამ მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ჩემი გულისთვის ერთი ცრემლი გადმოსცდენოდა მის ნატიფ თვალებს. მამაჩემის თვალები პირიქით, მძვინვარებით აღსავსე მზერით მიყურებდნენ და ამავე დროს თითქოს სიხარულის ნაპერწკლებს ყრიდნენ. ალბათ ვერასოდეს მივხვდები, რა ამოძრავებდა მას, ყველაზე დიდი საშინელება კი ის არის, რომ ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ანალოგიურად ვეპყრობი...

24...

ცოცხალ არსებებში სოკოს ცალკე ჯგუფში გამოყოფენ ხოლმე, ის არ მიეკუთვნება არც მცენარეს და არც ცხოველს. ზოგიერთი სოკო ხემცენარესთან სიმბიოზში შედის, ხისგან ორგანულ საკვებ ნივთიერებებს იღებს, თავად კი ნიადაგიდან მოპოვებულ მინერალებს აწვდის მას. დასავლური საზოგადოება ასეთ ურთიერთობას კოოპერაციას უწოდებს, აღმოსავლეთში კი ეს ფაქტი პარაზიტიზმის არაორდინალურ გამოვლინებადაა შეფასებული. არსებობს შხამიანი და უშხამო სოკოები, სუპერმარკეტებში ძირითადად უშხამო იყიდება...

28...

ზამთარში კაპელინები ძალიან იკლებენ წონაში, კბილები უცვივდებათ და ერთმანეთთან საუბარს ვეღარ ახერხებენ, საჭმლის მარაგები ამოწურულია და ისინიც მინიმალური დანახარჯებით აგრძელებენ არსებობას - ბამბუკებზე ცოცდებიან, კარგად ეჭიდებიან და ლამის თვალები გადმოუცვივდეთ, ისე უთვალთვალებენ მიწაში ჩამძვრალ დინუბიელებს. სასაფლაო ყოველწლიურად იზრდება, საზღვრები აღარ იცის, დასახლება ჯებირებს ვეღარ აკავებს და სასაფლაო ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრება. უყურებს თოთხმეტი კაპელინი, როგორ იშლება კორპუსები და ოცნებობენ, იქნებ ერთი მათგანი მაინც დაეცეს ცამეტ დინუბიელს. ამასობაში გაყინულ მიწაზე მშობიარე დინუბიელი ოცდამერვე არსებას აჩენს და სამყაროს მეთოთხმეტე დინუბიელი ევლინება. კაპელინებს სიმწრისგან თვალები ქუთუთოებში უბრუნდებათ და იძინებენ, ახსენდებათ, რომ კანონზომიერების შეცვლა შეუძლებელია.